*დანართი №1*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

„ჟურნალისტიკა“ ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის 9.12.2025

თბილისი

## შინაარსი


I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ..... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ..... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ..... 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ..... 13

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ..... 17

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ..... 19

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ..... 27

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 229275405 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოფო კვინტრაძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო შოშიტაშვილი, შპს გრიგილ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | ჟურნალისტიკა |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Journalism |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ჟურნალისტიკის ბაკალავრი/ Bachelor of Journalism |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა / Journalism and Reporting |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 ECTS |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება #34 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა იცავს ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სფეროს შესაბამისობას და აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს. პროგრამამას გააჩნია მკაფიო მიზნები, ლოგიკურად ჩამოყალიბებული სწავლების შედეგები და სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებს ეფუძნება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენა. შეფასება განხორციელდა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, დაწესებულებაში ვიზიტი არ განხორციელებულა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები:** მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

**სწავლების მეთოდოლოგია და შეფასება:** შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სწავლების შედეგების მიღწევას.

**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა:** მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან., თუმცა სასურველია გაუმჯობესდეს ადამიანური რესურსის სტაბილურობისა და ინფრასტრუქტურის განმტკიცების კუთხით.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდირებულია, საგნები „პროფესიული პრაქტიკა" და „საგამოძიებო ჟურნალისტიკა" ისწავლებოდეს ძირითად კურსებში და არა არჩევითში.
  - რეკომენდირებული სტუდენტებმა შეასრულონ ინდივიდუალური კვლევა.
  - რეკომენდირებულია, სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგ.: კურსებში „რეკლამა და მედია", „მედიამენეჯმენტი" და სხვ.)
  - რეკომენდირებულია, გაძლიერდეს ინტერაქტიური სწავლების მეთოდები და აისახოს ციფრული ჟურნალისტიკის სწავლება როგორც ცალკე კომპონენტი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სტაჟირების და საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების გაფართოება.
  - სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.
  - მოწვეული პერსონალის ჩართვა მიზნობრივ პროფესიულ ტრენინგებში გააძლიერებს მათ პედაგოგიურ, ტექნოლოგიურ და აკადემიურ კომპეტენციებს.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში აფილირებული ან/და შტატიანი აკადემიური პერსონალის უფრო ინტენსიური ჩართვა, საფუძველს შექმნის სწავლების მაღალი ხარისხის გრძელვადიანი უზრუნველყოფისთვის.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

გამორჩეულია IBSU-ს მედია ლაბორატორიის ფუნქციონირება და სტუდენტთა პრაქტიკული ჩართულობის ხელშეწყობა, რაც ხელს უწყობს პროფესიული უნარების რეალურ სამუშაო გარემოში განვითარებას.

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

არგუმენტირებული პასუხის საფუძველზე, ექსპერთა ჯგუფი იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას მეოთხე სტანდარტთან მიმართებით და შესაძლებლად მიაჩნია რეკომენდაციების გატანა რჩევის კატეგორიაში. პასუხში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის მდგრადობისთვის აუცილებელ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივ და სტრუქტურულ მოთხოვნებს. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია აღნიშნულ შიდა რეგულაციასთან და მისი განხორციელება უზრუნველყოფილია როგორც აკადემიური რესურსის, ისე ინსტიტუციური მხარდაჭერის თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება ასახულია ექსპერტთა დასკვნის აღწერით ნაწილშიც. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაცია არ მიუთითებს კონკრეტულ ხარვეზზე, ის მაინც წარმოადგენს მნიშვნელოვან მოსაზრებას უკვე არსებული პრაქტიკის გაძლიერების მიზნით. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სავალდებულო სასწავლო კურსებში ჟურნალისტიკის მიმართულების აფილირებული პერსონალის გაძლიერება პროგრამას მისცემს უფრო სტაბილურ და სოლიდურ აკადემიურ ბირთვს, რაც მნიშვნელოვანია მისი გრძელვადიანი მდგრადობისა და განვითარების პერსპექტივიდან.

არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, უნივერსიტეტი მიზნობრივ ტრენინგებს ახორციელებს ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის საჭიროებების პრინციპის შესაბამისად, ხოლო წახალისების პოლიტიკა მოიცავს როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ სტიმულებს. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განვითარების განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, აღნიშნული აქტივობები ყოველთვის არ აისახება ინდივიდუალურ პროფესიულ დოსიეებში, განსაკუთრებით მოწვეული თანამშრომლების შემთხვევაში. სწორედ ამიტომ, რეკომენდაციის რჩევის კატეგორიაში დატოვება მიზანშეწონილია, რათა უნივერსიტეტმა მომავალში სისტემურად ასახოს პროფესიული განვითარების ღონისძიებები თითოეულ თანამშრომელზე მის პერსონალურ პროფესიულ პორტფოლიოში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს პერსონალის განვითარების პროცესის გამჭვირვალობასა და სტრუქტურულ მდგრადობას.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

რაც შეეხება სხვა რეკომენდაციებს, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები მისაღებად მიიჩნევა, აღნიშნული გარემოება არ ცვლის ექსპერტთა ჯგუფის ხედვას ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის მიზნები მკაფიოა და ასახავს სფეროს სპეციფიკას და თავისებურებებს. პროგრამას აქვს ისეთი მიზნები, რომლებიც პასუხობს ჟურნალისტიკის პროფესიული განათლების მოთხოვნებს - სტუდენტებს უყალიბდებათ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც საჭიროა თანამედროვე მედია გარემოსთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა
- წარმოდგენილი სილაბუსები (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი საგნები, თავისუფალი სავალდებულო საგნები)

**რეკომენდაციები:**

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სწავლების შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს. ისინი დაფუძნებულია ცოდნაზე, ანალიტიკურ და პრაქტიკულ უნარებზე, ეთიკაზე და დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობაზე. შედეგები ასევე თანხვედრაშია კლასიფიკაციის ჩარჩოსთან და მჭიდროდ ინტეგრირებულია პროგრამის სტრუქტურაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების აგარიში
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა
- წარმოდგენილი სილაბუსები (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი საგნები, თავისუფალი სავალდებულო საგნები)

**რეკომენდაციები:**

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- ➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, მათ შორის შემაჯამებელი, ფორმატიული და შუალედური შეფასებები. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების მონიტორინგს და იძლევა რეალური აკადემიური მიღწევის შეფასების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად ორიენტირებულია შედეგზე (learning outcome), და არა მხოლოდ შინაარსზე ან თემატურ გაშლაზე. ეს მიუთითებს სწავლებაში თანამედროვე მიდგომის ინტეგრირებაზე და ბაკალავრის საფეხურზე სწავლის შედეგების სწორად გააზრებაზე. შესაბამისად, ეს მიდგომა ქმნის წინაპირობას სტუდენტების უნარების განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის დანერგვისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების აგარიში
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა
- წარმოდგენილი სილაბუსები (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი საგნები, თავისუფალი სავალდებულო საგნები)

**რეკომენდაციები:**

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია, ECTS-ის კრედიტების განაწილება ადეკვატურად ასახავს ძირითად და არჩევით კომპონენტებს. პროგრამა მოიცავს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამის თემატიკას, რაც ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების შანსებს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბაკალავრო პროგრამებში უმაღლესი განათლების სტანდარტის შესაბამისად, უნდა იკვეთებოდეს ინდივიდუალური კვლევითი კომპონენტი. ჟურნალისტიკის პროგრამაში კვლევა წარმოდგენილია ძირითადად ჯგუფური და პრაქტიკული დავალებების სახით, თუმცა მიზანშეწონილია, რომ პროგრამა მოიცავდეს ინდივიდუალური კვლევის შესრულების ფორმატსაც, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების ანალიტიკური და მუშაობის უნარების განვითარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების აგარიში
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა
- წარმოდგენილი სილაბუსები (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი საგნები, თავისუფალი სავალდებულო საგნები)

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცირებულია, საგნები „პროფესიული პრაქტიკა“ და „საგამოძიებო ჟურნალისტიკა“ ისწავლებოდეს ძირითად კურსებში და არა არჩევითში.

რეკომენდირებული სტუდენტებმა შეასრულონ ინდივიდუალური კვლევა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ, სპეციალიზებულ და არჩევით კომპონენტებს, რაც შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის სტანდარტს. საგნების შინაარსი, როგორც წესი, თანხვედრაშია პროფესიის მოთხოვნებთან და ხელს უწყობს როგორც აკადემიური, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებას. თუმცა შეინიშნება გარკვეული საკითხები, რომელთა გაუმჯობესება პროგრამის ხარისხს კიდევ უფრო გააძლიერებს. რეკომენდირებულია ზოგიერთ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება, მოცემული ლიტერატურა მოძველებულია და არ ასახავს თანამედროვე მედიაგარემოს საჭიროებებს.

ასევე, მიზანშეწონილია გაძლიერდეს ინტერაქტიური სწავლების მეთოდები - დისკუსიები, ქეის-სტადიები, სიმულაციური დავალებები, რაც დაეხმარება სტუდენტებს პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებულ სწავლებაში. გარდა ამისა, სასურველია ციფრული ჟურნალისტიკის სწავლება აისახოს როგორც ცალკე კურსი ან კომპონენტი, ხოლო მის შინაარსში გაერთიანდეს ისეთი თემები, როგორებიცაა მულტიმედიური ნარატივი, მონაცემებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა (data journalism), სოციალური მედიის სტრატეგიები და fact-checking პლატფორმების გამოყენება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა
- წარმოდგენილი სილაბუსები (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი საგნები, თავისუფალი სავალდებულო საგნები)

**რეკომენდაციები:**

რეკომენდირებულია სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგ.: საგნებში „რეკლამა და მედია“, „მედიამენეჯმენტი“ და სხვ.)

რეკომენდირებულია, გაძლიერდეს ინტერაქტიური სწავლების მეთოდები და აისახოს ციფრული ჟურნალისტიკის სწავლება როგორც ცალკე კომპონენტი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

დაშვების პირობები განსაზღვრულია ეროვნულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ის უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი სტუდენტების მიღებას, რომლებიც აკმაყოფილებენ უნარებისა და ცოდნის საბაზისო დონეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების აგარიში
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა

**რეკომენდაციები:**

o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამა მოიცავს მრავალ პრაქტიკულ კომპონენტს, მათ შორის მედიაპრაქტიკას, ჟურნალისტურ პროექტებს და მობილურ ჟურნალისტიკას. ტრანსფერული უნარები (კომუნიკაცია, კრიტიკული ანალიზი, გუნდური მუშაობა) ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების აგარიში
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა

**რეკომენდაციები:**

o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სწავლება ემყარება სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებს: დისკუსიები, კრეატიული სემინარები, ინტერაქციული ლექციები, ქეისების ანალიზი, ექსტრაკურიკულარული აქტივობები და „გააკეთე შენ თვითონ“ პრინციპი. გამოყენებულია მრავალმხრივი მეთოდოლოგია სხვადასხვა ტიპის უნარის განვითარების მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების აგარიში
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა
- წარმოდგენილი სილაბუსები (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი საგნები, თავისუფალი სავალდებულო საგნები)

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტუდენტების შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და საბოლოო გამოცდებს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ დავალებებს. შეფასების პროცესი გამჭვირვალეა, შესაბამისია სილაბუსებში აღწერილ კრიტერიუმებთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის ობიექტურობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა
- წარმოდგენილი სილაბუსები (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი საგნები, თავისუფალი სავალდებულო საგნები)

**რეკომენდაციები:**

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.4 სტუდენტების შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა | |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

